საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-09/282

ქ. ბათუმი 10 ივლისი, 2014 წ.

ბსუ–ს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტ დავით ლომთათიძის მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი 2014 წლის 02 ივლისს №2823 მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ბსუ-ს რექტორის 1994 წლის 14 აგვისტოს №3-61 §17 ბრძანებით ეკონომიკა და მართვის სპეციალობაზე ჩარიცხული სტუდენტი დავით ლომთათიძე ბსუ-ს რექტორის 1995 წლის 18 დეკემბრის №3-101 §6 ბრძანებით გავიდა აკადემიურ შვებულებაში 1996-1997 წლის 1 სექტემბრამდე ვადით. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად ითვლება.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“-ს მე-3 მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კანონშესაბამისია დაიწყოს დავით ლომთათიძის მიმართ ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72 - 76-ე და 95 – 101 -ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“-სა და სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის 2014 წლის 02 ივლისს №2823 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტ დავით ლომთათიძის (პ/№) მიმართ, რომელსაც 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში შეჩერებული აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

2. დაინტერესებულ პირს - დავით ლომთათიძეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მისი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განემარტოს, რომ შეუძლია 5 დღის ვადაში წარმოადგინოს ბსუ-ს კანცელარიაში წერილობითი მოსაზრება გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით;

3. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცეს 2014 წლის 15 ივლისის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე;

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით გაეგზავნოს დაინტერესებულ პირს, რისი უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატსა და კანცელარიას;

5. ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**